საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 225

თბილისი „19“ 02 2020წ.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 ივლისის N621 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 05 ივლისის კანონის (დოკუმენტის ნომერი: 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 29 იანვრის N86156 მოხსენებითი ბარათისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 17 თებერვლის N195008 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 ივლისის N621 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტით დამტკიცებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების ტექნიკური კრიტერიუმები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) მეორე პუნქტით დამტკიცებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ჩხენკელი

დანართი N1

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების ტექნიკური კრიტერიუმები

(მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულისათვის)

მოთხოვნა 1. გამოცემის ფორმატი		**სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
1.1	მოსწავლის წიგნისთვის არანაკლებ B5-ისა და არა უმეტეს A4-ისა.				
1.2	მოსწავლის რვეულისთვის არანაკლებ A5-ისა და არა უმეტეს A4-ისა.				
1.3	ფორმატის ორიენტაცია - ვერტიკალური				

მოთხოვნა 2. ტექსტის აღქმის ხარისხი		**სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
2.1	ძირითადი ტექსტის[1] სტრიქონის სიგრძე: **B5-დან A4 -ის ჩათვლით ფორმატებისათვის:** **ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის I კლასის შემთხვევაში - ანბანის სწავლების ნაწილში:** 11.7-14 სმ, **ხოლო ანბანის შემდგომ ნაწილში:** 11.7-14.4 სმ; **სხვა დანარჩენ შემთხვევაში:** I-VI კლასისათვის: 10 სმ-დან 15.3 სმ-ის ჩათვლით.				

[1] *ძირითადი ტექსტი - წინამდებარე ფორმისათვის: ტექსტის ნაწილი, რომელშიც სასწავლო გამოცემის მთავარი შინაარსია გადმოცემული.*

2.2	შიდა მინდვრის მინიმალური ზომა ფურცელზე 2 სმ-ის ფარგლებში (ილუსტრაციული დამატების ჩაუთვლელად).				
2.3	ზედა, გარე და ქვედა მინდვრები ფურცელზე არანაკლებ 1 სმ (ილუსტრაციული დამატების ჩაუთვლელად).				
2.4	ილუსტრაციების მთლიანი ფართობი: I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის მოსწავლის წიგნისა და რვეულისათვის: ანბანის სწავლების ნაწილში - არანაკლებ 50%, ხოლო ანბანის შემდგომ ნაწილში - არანაკლებ 30%.				
2.5	ილუსტრაციების მთლიანი ფართობი: II-VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურისა და I-VI კლასის მათემატიკის საგნების მოსწავლის წიგნისა და რვეულისათვის - არანაკლებ 15%.				
2.6	ილუსტრაციების მთლიანი ფართობი გარდა 2.4 და 2.5 პუნქტებში მითითებული საგნების მოსწავლის წიგნისა და რვეულისა - არანაკლებ 25%.				

	მოთხოვნა 3. შრიფტის ზომა[2] პუნქტებში (ძირითადი ტექსტისათვის)	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
3.1	შრიფტის ზომა პუნქტებში: I კლასი-18–20 (საანბანო), 16–18 (ანბანის შემდგომი); II კლასი - 14–16; III კლასი -12–16; IV - VI კლასი-11.5-12.				

[2] *არაძირითადი ტექსტისთვის რეკომენდირებულია 3.1 მოთხოვნაში მითითებული ნორმის ფარგლებში ძირითადი ტექსტისთვის შერჩეული შესაბამის შრიფტის ზომაზე არაუმეტეს 2 ზომით ნაკლები შრიფტის გამოყენება.*

	მოთხოვნა 4. ინტერლინიაჟის[3] ზომა (ძირითადი ტექსტისათვის)	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
4.1	ინტერლინიაჟის ზომა პუნქტებში: I კლასი- 25 (საანბანო), 24 (ანბანის შემდგომი); II კლასი-20; III კლასი-20; IV კლასი-16; V - VI კლასი-15.				

	მოთხოვნა 5. ტექსტის სვეტებად განაწილება	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
5.1	ა) I კლასი: დაუშვებელია ძირითადი ტექსტის სვეტებად დაყოფა. ბ) II-VI კლასი: დაუშვებელია ძირითადი ტექსტის ორ სვეტად ბეჭდვა, გარდა ლექსებისა/მაგალითებისა და ამოცანებისათვის. მათთვის დასაშვებია ორსვეტიანი წყობა, მხოლოდ სვეტებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 9 მმ. ორი ან მეტი რაოდენობის სვეტებად შეიძლება ჩამოიწეროს სიტყვების ჩამონათვალი და სიტყვათშეწყობა, ასევე ქრონოლოგიური მასალა, სვეტებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 12 მმ, გამყოფი ხაზი[4] - არანაკლებ 6 მმ.				

---

[3] *ინტერლინიაჟი - სტრიქონებს შორის მანძილი ერთმანეთის მიყოლებით ორ მეზობელ სტრიქონში, შრიფტის ზედა და ქვედა ხაზებს შორის მანძილის ჩათვლით.*

[4] *სიმეტრიული ვერტიკალური ცენტრი.*

	მოთხოვნა 6. მანძილი სიტყვებს შორის	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
6.1	მანძილი სიტყვებს შორის ავტომატურია.				

	მოთხოვნა 7. გამოსაყენებელი შრიფტები	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
7.1	შრიფტი: ა) I კლასი - გოგებაშვილი ან ვენური (ჩვეულებრივი) ან კოლხეთი. ნორმალური, ნათელი, სწორი (ანბანურ ნაწილში ნახევრად შავი) ნაბეჭდი; ბ) II- VI კლასები - გოგებაშვილი ან ვენური (ჩვეულებრივი) ან კოლხეთი. ნორმალური, სწორი, ნათელი მოხაზულობით.				
7.2	ლათინური ასოების, ციფრებისა და მათემატიკური სიმბოლოებისათვის დასაშვებია გამოყენებულ იქნას არიალისა და ჰელვეტიკის შრიფტები.				
7.3	დაუშვებელია[5] მხატვრული და მთავრული შრიფტების გამოყენება ძირითად, დამატებით და ილუსტრაციების ტექსტებში.				
7.4	ძირითად ტექსტსა და გამოყოფილ ნაწილებში (სათაურების გარდა): დასაშვებია შრიფტის არაუმეტეს 4 ვარიანტის გამოყენება, რომლებიც ერთ-ერთი პარამეტრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად: კეგელით, გარნიტურით[6], მოხაზულობით[7] ან ფერადად გამოტანილი				

[5] *ქვეპუნქტი არ ეხება სათაურებსა და ქვესათაურებს (ნებისმიერი ტიპის).*

[6] *შრიფტების კომპლექტი, რომელთაც ახასიათებთ ასოების მოხაზვის ერთნაირი სტილი. თითოეული გარნიტურის შრიფტი განსხვავდება მოხაზულობით და ზომით (კეგელი).*

	ნაწილებით.				
7.5	დაუშვებელია იმ შრიფტების გამოყენება, რომლებიც შექმნილია ინტერნეტისათვის ან ელექტრონული წამკითხველისათვის.				
7.6	დაუშვებელია დახრილი არასწორკიდეებიანი შრიფტის გამოყენება.				

	მოთხოვნა 8. შრიფტის ფერი	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
8.1	დაუშვებელია ძირითადი და დამატებითი ტექსტის ბეჭდვისას შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით.				
8.2	დაუშვებელია ტექსტის გამოყოფის მიზნით, ფერად ფონზე შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით.				
8.3	დაუშვებელია ფერადი და რუხი ფონი წერისათვის გამოყოფილ ფურცლებზე.				
8.4	დაუშვებელია ფერადი საღებავები ფერად ფონზე თვალსაჩინოებებში (გრაფიკი, სქემა, ცხრილი, დიაგრამა და სხვა).				
8.5	სათაურების გამოყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაუმეტეს ოთხი ფერი.				

---

[7] *ერთი გარნიტურის ნიშნების კომპლექტი, რომელიც განსხვავდება: ა) ნიშნების სისქით (ნათელი, ნახევრად მავი და მავი შრიფტი); ბ) ნიშნების დახრილობით (პირდაპირი, დახრილი და კურსივი შრიფტი).*

	მოთხოვნა 9. კარტოგრაფიული წარწერები	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
9.1	კარტოგრაფიული წარწერებისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს შრიფტი-კეგელით არანაკლებ 9 პუნქტი.				

	მოთხოვნა 10. ილუსტრაციის ტექსტი	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
10.1	ილუსტრაციის გვერდით მოთავსებული ტექსტის სტრიქონის დასაწყისი (სათაურებისა და აბზაცების გარდა) ვერტიკალურ ხაზზე უნდა მდებარეობდეს.				

	მოთხოვნა 11. დამატებითი მოთხოვნა მოსწავლის რვეულისათვის	სრულად აკმაყოფილებს/ ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
11.1	ასოების ნიმუშებისა და მათი ელემენტების წერისათვის, ხელის მოძრაოების მიმართულების მისათითებლად რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას უწყვეტი ხაზები, პუნქტირები და ისრები. დასაშვებია ასოების ნიმუშების ბეჭდვისას გამოყენებულ იქნას ერთი ფერის საღებავი.				

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:
წინამდებარე მოთხოვნები საერთოა როგორც მოსწავლის წიგნისათვის, ისე რვეულისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნა პირდაპირ მიუთითებს რომელიმე მათგანზე.

დანართი N2

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები

კრიტერიუმი 1 - შინაარსის შეფასება ინდიკატორები		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	ჯული 1-2-3-4-5-6-7-8-9-10	ინდიკატორის წონა	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაასობრივი კორექტურის ვადა
1.1	მინაარსი (თემატიკა, დავალებები და სხვა) ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნა-გამოცდილებას, ასაკობრივ თავისებურებებს (ინტერესებს, შესაძლებლობებს და სხვა). აქტიურებს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ეხმარება საკითხის სრულფასოვნად ათვისებაში	*	*	*		20%			
1.2	ინფორმაცია სანდო და ზუსტია. ტერმინების, ცნებების, ფაქტების, მოვლენების, პროცესების აღწერილობა შინაარსობრივად გამართულია და შემოთავაზებულია ძირითად საკითხებთან დაკავშირებით	*	*	*		15%			
1.3	სათანადო ყურადღება ეთმობა სასწავლო მასალის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას	*	*	*		15%			
1.4	წარმოდგენილი თვალსაჩინოება (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, ილუსტრაციები და სხვ.) შესაბამისობაშია თემასთან და ხელს უწყობს მინაარსის აღქმა-გააზრებას. თვალსაჩინოებათა განმარტებები შესატყვისია საკითხთან, მინაარსობრივად გამართულია	*	*	*		15%			
1.5	დამატებითი საგანმანათლებლო ბეჭდური ან/და ელექტრონული რესურსების სახით მოცემულია სასწავლო გეგმასთან შესატყვისი წყაროები, სასწავლო პროცესში მათი გამოყენების კონკრეტული რეკომენდაციები	*	*	*		10%			
1.6	ინფორმაცია ობიექტურია. ავტორი არ ახდენს თავისი დამოკიდებულებებით მკითხველზე ზეგავლენას და საკუთარი განწყობებისა და შეხედულების დეკლარირებას	*	*	*		5%			
1.7	მოცემული დავალებები/აქტივობები ხელს უწყობს საგანთამორისი კავშირების დამყარებას	*	*	*		10%			
1.8	მინაარსი ხელს უწყობს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობს მათ გააზრებას ასაკის შესაბამისად	*	*	*		10%			

კრიტერიუმი 2 - სწავლების მეთოდიკა და შეფასება ინდიკატორები		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	ბალი 1-2-3-4-5-6-7-8-9-10	ინდიკატორის წონა	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტორის ვადა
2.1	საკვანძო საკითხები მუშავდება თანმიმდევრულად. სათანადო ყურადღება ეთმობა მოსწავლის ეტაპობრივად მიყვანას ახალი ცნების, განსაზღვრების, წესის, მოვლენისა და სხვათა გაცნობიერებამდე	*	*	*		20%			
2.2	საკითხის დამუშავებისას ყურადღება ეთმობა ცოდნის განმტკიცებას, რისთვისაც გამოყენებულია სხვადასხვა ხერხი, მოცემული დავალებები და აქტივობები მრავალფეროვანია და ხელს უწყობს აქტიურ სწავლას (სწავლას თამაშით, აღმოჩენით, კეთებით, თანამშრომლობით, კვლევით, პრობლემის გადაჭრით და სხვა), ლოგიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი საზრიანი უნარების განვითარებას	*	*	*		20%			
2.3	მოსწავლისთვის განკუთვნილი ტექსტები და ინსტრუქციები (მაგალითად, დავალების/საგარეჯიმოს/ექსპერიმენტის პირობა და ა.შ.) საინტერესოა, თანამიმდევრული, ადვილად აღქმადი და მეთოდურად გამართულია, ითვალისწინებს საგნობრივ სპეციფიკას. ხელს უწყობს მისი მოტივაციისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას, უბიძგებს მეტი ცოდნის შეძენისა და თვითგანვითარებისაკენ; იძლევა დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას	*	*	*		20%			
2.4	მასწავლებლის წიგნში მკაფიოდ აღწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლის წიგნში არსებული მსხვილი სტრუქტურული ერთეულის (თავი/თემა/ბლოკი) ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევა: წარმოდგენილია წიგნისა თუ რვეულის აქტივობების, დავალებების შესასრულებლად საჭირო ინსტრუქციები და ახსნა-განმარტებები	0	0	*		10%			
2.5	მასწავლებლის წიგნში მოცემულია მოსწავლისთვის განკუთვნილი ამოცანების ამოხსნის გზები, საჭიროების შემთხვევაში - რეკომენდაციები და დამატებითი ცნობები	0	0	*		5%			
2.6	თითოეული მსხვილი სტრუქტურული ერთეულისათვის (თავი/თემა/ბლოკი) წარმოდგენილია მეთოდიკური რეკომენდაციები და ინსტრუმენტები (დავალებები, რუბრიკები, ინსტრუქციები) განმავითარებელი (მათ შორის, თვითშეფასების) და განმსაზღვრელი შეფასებისთვის	0	0	*		5%			
2.7	შესაჯამებელი შეფასების განსახორციელებლად წარმოდგენილია საზრიანო უნარების განვითარებაზე მიმართული შესაბამისი კონტექსტის მქონე მრავალფეროვანი დავალებების ნიმუშები (კვლევა, ესე, კვლევითი აქტივობა, მიმოხილვა, სიტუაციური ამოცანა, წერილობითი ანგარიში, პროექტი; მონაცემთა ბაზის, ხელოვნების ნიმუშის, მუსიკალური კომპოზიციის, მხატვრული ტექსტის შექმნა და სხვა), რომლებსაც ახლავს სათანადო პირობა და შეფასების კრიტერიუმების სქემა (შეფასების/თვითშეფასების რუბრიკები)	0	0	*		10%			
2.8	მოცემულია დავალებები, რომელთა შესრულება ხდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ-ის) გამოყენებით (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მითითებით)	*	*	*		10%			

კრიტერიუმი 3 - სპეციფიკური (საგნობრივი) შეფასება ინდიკატორები			მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	ჭეშა 1-2-3-4-5-6-7-8-9-10	ინდიკატორის წონა	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტორის ვადა
3.1. ქართული ენა და ლიტერატურა	3.1.1	მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი მასალა - მხატვრული და არამხატვრული ტექსტები	*	0	0		25%			
	3.1.2	აქტივობები/დავალებები იძლევა ტექსტების მრავალმხრივად დამუშავების შესაძლებლობას, ხელს უწყობს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარების თანამიმდევრულად განვითარებას	*	*	*		25%			
	3.1.3	სახელმძღვანელო ხელს უწყობს წიგნიერების უნარების განვითარებას	*	*	0		25%			
	3.1.4	გრამატიკული საკითხები წარმოდგენილია კონტექსტუალიზებული სახით, სათანადო ახსნა-განმარტებებით, თანდართული პრაქტიკული სავარჯიშოებითა და აქტივობებით, რომლებიც ხელს უწყობს ენობრივი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების უნარების გამომუშავებას	*	0	0		25%			
3.2 ქართული, როგორც მეორე ენა	3.2.1	წარმოდგენილია თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი მასალა	*	*	*		20%			
	3.2.2	წარმოდგენილი მასალა ხელს უწყობს მოსწავლის ინტერკულტურული უნარების განვითარებას	*	*	*		20%			
	3.2.3	სასწავლო მიზნისა და თემატიკის შესაბამისად მოყვანილია ქართული რეალიები	*	*	*		20%			
	3.2.4	სასწავლო მიზნებით შედგენილი მასალა (ტექსტები) ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული მრავალფეროვანი საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრას	*	*	*		20%			
	3.2.5	იცავს ენის სპირალური პროგრესით სწავლების პრინციპს	*	*	*		20%			
3.3 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	3.3.1	მოცემული ნაწარმოებები/ხელოვნების ნიმუშები ხელს უწყობს ესთეტიკური გემოვნების განვითარებას	*	0	*		40%			
	3.3.2	სათანადო ყურადღება ეთმობა თანამედროვე ხელოვნების მიმართულებებსა და ტენდენციებს	*	0	*		30%			
	3.3.3	სათანადო ყურადღება ეთმობა ქართულ ხელოვნებას	*	0	*		30%			
3.4 მუსიკა	3.4.1	სახელმძღვანელო გამდიდრებულია სასალისო სასიმღერო აქტივობებით	*	0	*		40%			
	3.4.2	სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის გადატვირთული თეორიული საკითხებით	*	0	*		30%			
	3.4.3	წარმოდგენილია ისეთი აქტივობებიც, რომლებშიც გამოყენებულია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები და მოცემულია მათი გამოყენების ზოგადი რეკომენდაციები	*	0	*		30%			
3.5 მათემატიკა	3.5.1	წარმოდგენილია კომპლექსური-საპროექტო დავალებები თემების მიხედვით	*	*	*		35%			
	3.5.2	მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის - სამოტივაციო, გამოყენებითი ხასიათის და ცოდნის გასამყარებელი, რეგულარულ გამეორებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები, რომლებიც ორგანიზებულია სირთულის ზრდადობის მიხედვით	*	*	0		35%			
	3.5.3	ერთვის საცნობარო მასალა (ძირითადი ცხრილები, ფორმულები და მსგავსი)	*	0	*		30%			

3.6 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	3.6.1	ხელს უწყობს ციფრული წიგნიერების განვითარებას	*	0	*		35%			
	3.6.2	მოცემულია საპროექტო დავალებები თემების მიხედვით. ხელს უწყობს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების მოტივაციის გაზრდას სწავლის პროცესში	*	0	*		35%			
	3.6.3	შეიცავს მოსწავლისათვის მისი ასაკის შესაფერის მითითებებს ინფორმაციის მოძიების გზების შესახებ	*	0	*		30%			
3.7 ჩვენი საქართველო, მე და სიზოგადოება	3.7.1	წარმოდგენილი მასალა ხელს უწყობს მოსწავლის ინტერკულტურული უნარების განვითარებას; ტექსტები და ილუსტრაციები არის სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის მიმართ პოზიტიური ინფორმაციის შემცველი და არ აღძრავს ნეგატიურ ემოციებს	*	*	*		20%			
	3.7.2	აუცილებლობის შემთხვევაში მოსწავლის წიგნში (თავებთან და/ან გაკვეთილებთან დაკავშირებით) წარმოდგენილია თემატური რუკები მოსწავლის ასაკობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით	*	0	*		15%			
	3.7.3	ტექსტებში ასახულია საქართველოს კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და ბუნებრივი მრავალფეროვნება პოზიტიურ კონტექსტში	*	0	*		15%			
	3.7.4	წარმოდგენილი აქტივობები არ აჩენს პერსონალური ინფორმაციის (მაგალითად, ოჯახთან დაკავშირებით) გასაჯაროების რისკს	*	0	*		5%			
	3.7.5	მოსწავლის რვეულში მოცემულია რუბრიკები, რომლებიც მოსწავლეს სასწავლო წლის განმავლობაში თვითშეფასებაში უნდა დაეხმაროს	0	*	0		15%			
	3.7.6	მასწავლებლის წიგნი მოიცავს მოსწავლეებისთვის შესათავაზებელი პროექტების ნუსხას მათ სავარაუდო შედეგებთან ერთად	0	0	*		15%			
	3.7.7	მასწავლებლის წიგნში მოცემულია სასწავლო აქტივობები, რომლებიც შესაძლებელია ჩატარდეს კლასის/სკოლის ტერიტორიის გარეთ, მაგალითად: მუზეუმებში, ველზე და მსგ	0	0	*		15%			
3.8 ბუნებისმეტყველება	3.8.1	ყოველი მსხვილი სტრუქტურული ერთეულის (თავი/თემა/ბლოკი) შემდეგ მოცემულია კვლევითი აქტივობა (ცდა/ექსპერიმენტი, კვლევითი პროექტი) დეტალური აღწერილობით, სათანადო ილუსტრაციებით, აგრეთვე შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებით	*	*	*		100%			
3.9 უცხოური ენები	3.9.1	იცავს ენის სპირალური პროგრესით სწავლების პრინციპს	*	*	*		25%			
	3.9.2	სასწავლო მიზნისა და თემატიკის შესაბამისად ასახულია მოსწავლისთვის ნაცნობი გარემო	*	*	*		25%			
	3.9.3	სასწავლო მასალა ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული საკომუნიკაციო უნარების განვითარებას	*	*	*		25%			
	3.9.4	სასწავლო მასალა ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული ინტერკულტურული უნარის განვითარებას	*	*	*		25%			
3.10 სპორტი	3.10.1	მოცემულია სახალისო მოძრავი თამაშები ასაკის გათვალისწინებით	0	0	*		50%			
	3.10.2	სათანადო ყურადღება ეთმობა ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, სიმარჯვე, კოორდინაცია) განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს	0	0	*		50%			

კრიტერიუმი 4 - ელექტრონული რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის ინდიკატორი		ჯამი 1-2-3-4-5-6-7-8-9-10	ინდიკატორის წონა	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტურის ვადა
4.1	შესაბამისობაშია საგაკვეთილო მიზნებთან		25%			
4.2	ელექტრონული რესურსი უმეტეს წილად არ არის იდენტური მოსწავლის წიგნში, მოსწავლის რვეულში ან მასწავლებლის წიგნში მოცემული მასალების. იგი შეიცავს დამატებით ინფორმაციას, აკავშირებს მათ და მოსწავლეს ეხმარება აღქმის გაფართოებაში		25%			
4.3	მასწავლებელს საშუალება ეძლევა მათი გამოყენებით ჩაატაროს სხვადასხვა ტიპის აქტივობები		20%			
4.4	კრეატიული ან/და ინოვაციურია		30%			

კრიტერიუმი 5 - სტრუქტურა და ორგანიზება ინდიკატორები		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	ჯამი 1-2-3-4-5-6-7-8-9-10	ინდიკატორის წონა	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტურის ვადა
5.1	სტრუქტურა ხელს უწყობს შინაარსში ორიენტირებას. იგი თანამიმდევრულია, სტრუქტურული ელემენტები ერთგვაროვანია	*	*	*		20%			
5.2	სტრუქტურული ერთეულები (თავი, პარაგრაფი, თემატური ბლოკი, თემატური ბლოკის შეჯამება, ტიპობრივი დავალებები და მისთ.) გამოყოფილია გასაგები პირობითი ნიშნებით (ლოგო, შრიფტი და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობს მასალის შინაარსისა და სტრუქტურის ვიზუალურ წარმოჩენას უკეთ აღქმა-გაგების მიზნით	*	*	*		20%			
5.3	ტექსტსა და ილუსტრაციას შორის დაცულია პროპორციები ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით	*	*	0		20%			
5.4	ტექსტი და მასთან დაკავშირებული თვალსაჩინოება მოქცეულია ერთ მხედველობით არეში	*	*	*		15%			
5.5	ახლავს გამართული საცნობარო/საძიებო აპარატი (მაგალითად, სარჩევი, საზომი ერთეულები, საკვანძო ცნებები, სასარგებლო მასალა ცოდნის გაღრმავებისთვის, სწავლების დიფერენცირებისთვის, მოსწავლის მოტივაციისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში - ლექსიკონი, სქოლიოები, სხვადასხვა ტესტური დავალებების ნიმუშები და მისთ); მასწავლებლის წიგნში მოცემულია მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი სავარჯიშოების პასუხები, საგნის სპეციფიკისა და საჭიროების შესაბამისად	*	0	*		25%			

კრიტერიუმი 6 - სახელმძღვანელოს ენის შესაბამისობა ენობრივი გაწათლების მოთხოვნებთან ინდიკატორები		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისთვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	ჯერ 1-2-3-4-5-6-7-8-9-10	ინდიკატორის წონა	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტურის ვადა
6.1	ტექსტების (მათ შორის, სავარჯიშოებისა და დავალებების პირობების) ენობრივი აგებულება ხელს უწყობს საგაზრდო პროცესების წარმართვას: გამოყოფილია სათაურები, ქვესათაურები; გამოკვეთილია ტექსტის საკვანძო ცნებები, მირითადი იდეები/საკითხები; ტექსტის აზრობრივად შეკრული მონაკვეთები დაყოფილია აბზაცებად; თვალსაჩინოა აბზაცებს/ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული ქრონოლოგიური, მიზეზშედეგობრივი და სხვა ლოგიკური კავშირები	*	*	0		20%			
6.2	ტექსტები არ არის გადატვირთული უცხოური ლექსიკური ერთეულებითა და ცნება-ტერმინებით. მოსწავლის წიგნი დაწერილია მოსწავლისთვის გასაგები ენით. სახელმძღვანელოში გამოყენებული დარგობრივი ენა მოსწავლისათვის მარტივი და ადვილად გასაგებია	*	*	0		20%			
6.3	მოსწავლეს ხელს უწყობს დარგობრივი ენის დაუფლებაში, უვითარებს შესაბამის საგანში ტექსტის მინაარსის გადმოსაცემად საჭირო სამეტყველო უნარ-ჩვევებს: ერთი ტიპის ტექსტები (მაგალითად, ნახატის აღწერა, ექსპერიმენტის შედეგი, მოვლენების/საგნების შედარება და მსგავსება-განსხვავების გამოვლენა, წერილის შედგენა, პირადი მოსაზრების გამოხატვა, ახსნა-დასაბუთება) ერთგვაროვნადაა აგებული, რაც მოსწავლეს ეხმარება დავალებად მიცემული მსგავსი ტიპის (ზეპირი და წერილობითი) ტექსტების გაგებაში/მექმნაში	*	*	*		20%			
6.4	დაწერილია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად, არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები, დაცულია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესები	*	*	*		20%			
6.5	სასწავლო მასალის შერჩევისა და მისი დამუშავებისას აქცენტირებულია პრობლემის გადაჭრის კონსტრუქციული და პოზიტიური გზები, ნაცვლად აკრძალვებისა, კანონსაწინააღმდეგო და კონფრონტაციულ ქმედებებზე ორიენტირებისა. ტექსტებში გამოყენებული ენა მოსწავლეში არ აღძრავს ნეგატიურ ემოციებს	*	*	*		20%			

კრიტერიუმების წონები (%) საგნების მიხედვით

N	კრიტერიუმის დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა; მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო; მათემატიკა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (III-VI კლ.); სპორტი	აფხაზური ენა და ლიტერატურა; სომხური, რუსული, აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა	ქართული, როგორც მეორე ენა; ბუნებისმეტყველება; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IIკლ.); მუსიკა; ისტ-ი; უცხოური ენები (I და II ენა)
1	შინაარსის შეფასება	35	40	30
2	სწავლების მეთოდიკა და შეფასება	25	30	25
3	სპეციფიკური (საგნობრივი) შეფასება	10	0	10
4	ელექტორნული რესურსი მოსწავლის ან/და მასწავლებლის წიგნისათვის	0	0	5
5	სტრუქტურა და ორგანიზება	15	15	15
6	სახელმძღვანელოს ენის შესაბამისობა ენობრივი განათლების მოთხოვნებთან	15	15	15
7	სახელმძღვანელოების ურთიერთდამოკიდებულება	100%	100%	100%

შენიშვნა: კრიტერიუმი N7 არ გამოიყენება ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის I კლასის სახელმძღვანელოს მაკეტის რეცენზირებისას

დანართი N5

მოთხოვნები სახელმძღვანელოსთვის/სერიისთვის								
მოთხოვნა 1 - შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ მიზნებთან/სტანდარტთან		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისთვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტორის ვადა
1.1	შინაარსის თითოეული თავი ორიენტირებულია შედეგის მიღწევაზე, რომელიც წარმოჩენილია მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებში	*	0	*				
1.2	სახელმძღვანელო ხელს უწყობს იმ ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც წარმოდგენილია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში	*	*	*				
1.3	შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სწავლების მიზნებს	*	*	*				
1.4	შეესაბამება საფეხურის (I-IV, V-VI კლ) სტანდარტების შედეგებს და შინაარსს, ეროვნული სასწავლო გეგმით როკომენდირებულ ან ავტორისეულ პროგრამას	*	*	*				
მოთხოვნა 2 - თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციის და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისთვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტორის ვადა
2.1	არ შეიცავს სტერეოტიპულ, არაკორექტულ, დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით	*	*	*				
2.2	საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცულია თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვ. ნიშნით	*	*	*				
მოთხოვნა 3 - მოსწავლის წიგნში მუშაობის (ჩაწერა და სხვა.) აკრძალვა		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისთვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაარსობრივი კორექტორის ვადა
3.1	მოსწავლის წიგნი არ შეიცავს ისეთ სავარჯიშოს, აქტივობას, ტესტს ან/და კროსვორდს, რომელიც მოითხოვს მასში რაიმეს ჩაწერას, ჩახატვას, ჩახაზვას, ამოჭრას, გაფერადებას ან ჩაწებებას	*	0	0				

მოთხოვნა 4 - ეთიკის ნორმების დაცვა		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაასობრივი კორექტურის ვადა
4.1	არ შეიცავს უცენზურო და არაკორექტულ გამონათქვამებს, მათ შორის ნაწარმოებს ან/და მის ფრაგმენტს, აგრეთვე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის სახით შემოთავაზებულ წყაროს, რომელიც მოიცავს ამგვარ ინფორმაციას. სახელმძღვანელოს ავტორისეულ ტექსტში არ გვხვდება ბარბარიზმები	*	*	*				
მოთხოვნა 5 - ძალადობისკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვა		**მოსწავლის წიგნისთვის**	**მოსწავლის რვეულისთვის**	**მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება (განმარტება)**	**რეკომენდაცია**	**შინაასობრივი კორექტურის ვადა**
5.1	ილუსტრაციები და შინაარსი არ შეიცავს მოწოდებებს: ნებისმიერი სახის ძალადობის, მათ შორის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მიმართ ვანდალური და ზიანის შემცველი ქმედების ჩადენისკენ; ომისა და ძალადობის, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალურ შუღლის გაღვიების მაპროვოცირებელ ტექსტებსა და ილუსტრაციებს	*	*	*				
მოთხოვნა 6 - სახელმძღვანელოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა		**მოსწავლის წიგნისთვის**	**მოსწავლის რვეულისთვის**	**მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება (განმარტება)**	**რეკომენდაცია**	**შინაასობრივი კორექტურის ვადა**
6.1	არ შეიცავს (ნებისმიერი ფორმით) მითითებას ან/და მოთხოვნას იმ საგანმანათლებლო რესურსის შესახებ, რომელიც შექმნილია ან მომავალში შეიქმნება გრიფირებისთვის წარმოსადგენი სახელმძღვანელოს მაკეტის კომპლექტს მიღმა, კომერციული მიზნებისათვის და მისი გამოუყენებლობა შექმნის სირთულეებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს დამოუკიდებლად მოხმარებისა და სასწავლო პროცესის წარმართვის საკითხში. ამასთანავე, ტექსტის შინაარსი ისეა მოწოდებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია აღიქვას და გაიაზროს	*	*	*				

მოთხოვნა 7 - სახელმძღვანელოში კომერციული რეკლამის აკრძალვა		მოსწავლის წიგნისთვის	მოსწავლის რვეულისთვის	მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	დასაბუთება (განმარტება)	რეკომენდაცია	შინაასობრივი კორექტურის ვადა
7.1	არ შეიცავს რაიმე სახის სოციალურ, პოლიტიკურ ან/და კომერციულ რეკლამას, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშანს, რომელიც არ ემსახურება საგანმანათლებლო მიზნებს	*	*	*				
მოთხოვნა 8 - შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან		**მოსწავლის წიგნისთვის**	**მოსწავლის რვეულისთვის**	**მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება (განმარტება)**	**რეკომენდაცია**	**შინაასობრივი კორექტურის ვადა**
8.1	შინაარსი, მათ შორის, სავარჯიშოებისა და დავალებების პირობები, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას	*	*	*				
მოთხოვნა 9 - შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან		**მოსწავლის წიგნისთვის**	**მოსწავლის რვეულისთვის**	**მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება (განმარტება)**	**რეკომენდაცია**	**შინაასობრივი კორექტურის ვადა**
9.1	შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების პრინციპებთან, ითვალისწინებს მდგრადი წარმოება-მოხმარების და დაზოგვის მნიშვნელობას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს უწყობს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას	*	*	*				
მოთხოვნა 10 - სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ავტორის ან/და საავტორო უფლების მფლობელის ანონიმურობის დაცვა		**მოსწავლის წიგნისთვის**	**მოსწავლის რვეულისთვის**	**მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/წაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება (განმარტება)**		
10.1	დაცულია ავტორის ან/და საავტორო უფლების მფლობელის ანონიმურობა	*	*	*				

დანართი N3

კრიტერიუმი დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების სერიის კონცეპტუალური ერთიანობის რეცენზირებისთვის

კრიტერიუმი 1. სახელმძღვანელოების ურთიერთდამოკიდებულება		**მოსწავლის წიგნისთვის**	**მოსწავლის რვეულისთვის**	**მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**ქულა 1-2-3-4-5-6-7-8-9-10**	**ინდიკატორის წონა**	**დასაბუთება (განმარტება)**	**რეკომენდაცია**	**შინაასობრივი კორექტურის ვადა**
ინდიკატორები									
1.1	სერიაში ყოველი მომდევნო კლასის სახელმძღვანელო ეფუძნება და ავითარებს წინას	*	*	*		40%			
1.2	სერიაში შემავალი სახელმძღვანელოების სტრუქტურული ელემენტები მსგავსია ან ეფუძნება მათი განვითარების კონცეფციას	*	*	*		40%			
1.3	სერიაში შემავალი სახელმძღვანელოების ვიზუალური მხარე აგებულია იმგვარად, რომ მარტივია მისი იდენტიფიცირება სერიასთან	*	*	*		20%			
შენიშვნა:	** * * - სიმბოლო აღნიშნავს ინდიკატორს/მოთხოვნას, რომელიც გამოიყენება სახელმძღვანელოს მაკეტის შესაბამის სახის (მოსწავლეების წიგნი, მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ან მის გარეშე), მოსწავლის რვეული) რეცენზირებისას*								